

№ 23  
(11 172)

25 - 27 მარტი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი

### საქართველო და გენერალი II კლასი

კოლონეთში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი დაიწყო ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი. მივიღეთ ცნობა, რომ ბეგაშვილმა ვერცხლის, მოდებამ და კახიანი-შვილმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მეორე საპრიზო ადგილზე გავიდნენ.

### საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### პირველი ჯგუფი XVIII ტური

### პირველი ჯგუფი XVIII ტური

**პირველი ჯგუფი**  
დინამო (თბილისი) - მარჯვითი (ზახტაფორნი) 6-0  
დინამო: ჭანტურია, ლობჯანიძე, ჯეღაძე, დიდავა, ციციშვილი (არსოშვილი, 60), ბურდული, კიკნაძე, ალექსიძე (სახვაძე, 64), აშვეთია, მუჯირი (წიტიშვილი, 60), ხომერიკი.  
მარჯვითი: მერკვილიშვილი, კაკაბაძე, ფანია, ქურციკიძე, გოგაძე, ქურციკიძე, კაციაშვილი, სულაკაძე, მაღალურაძე, მუმილაძე (ბოგვერაძე, 75), მაღრაძე, შაგველიძე (მხეიძე, 60).  
გოლი: ბურდული (26), ხომერიკი (41, 50, 62), მუჯირი (53), აშვეთია (83).  
გაფრთხილება: მუმილაძე  
მსაჯე: სოსო შალამაძე (თბილისი).



ლოკომოტივი (თბილისი) - დინამო (ბათუმი). მარჯვნიდან: ივანე მახარაძე, კანტეტი, ხუციშვილი, ერადი. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**ჩემპიონატის  
ბომბარდირები:**  
ლევან ხომერიკი - დინამო თბ. - 13  
დავით მუჯირი - დინამო თბ. - 11  
პაატა მახარაძე - დინამო ბთ. - 10

### დამურ მიქაძის წინადადება...

პოლიციის გენერალს დემურ მიქაძეს ცხოვრებაში ბევრი სიკეთე გაუკეთებია და მათ რიცხვში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ის, რასაც მისი თანხმობით ამას წინათ დაედო სათავე. ამ დღეებში რედაქციაში ჩვენმა კოლეგამ პავლე პატარქალიშვილმა შემოიარა და გვამცნო, რომ დემურ მიქაძე მის მეზობლად ცხოვრობს და მოზარდთა კლუბ „იმედი-98“-ის ჩამოყალიბება შეუთავაზებია. ესაა მოზარდთა სპორტული კლუბი, რომელიც თავის რიგებში გაერთიანებს მშობელთა ზრუნვას მოკლედ...

### დაჯილდოება

საქართველოში ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის, დაბადებიდან 60 წელთან დაკავშირებით ს. ზაქარაიძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო კოლეჯის ყოფილი ფიზიკური სწავლების ხელმძღვანელი და პედაგოგი **პამელა მებრძეშვილი** დააჯილდოვა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა.



ნ. მ. 23-5 33.

ლოკომოტივი (თბ.) - დინამო (ბთ.) 0-1  
გურია (ლანს.) - ოდიში (ზუგდ.) 1-1  
მხარგრელი (ჭიათ.) - კოლხეთი (ფთ.) 1-2  
რუსთავი - დილა (გორი) 1-0  
სიონი (ბოლნ.) - უნივერსიტეტი (თბ.) 1-0  
სამგურალი (წყაღ.) - მერანი-91 (თბ.) 0-0  
დინამო (თბ.) - მარჯვითი (ზესტ.) 6-0  
ვიტ ჯორჯია (თბ.) - ტორპედო (ქუთ.) 0-2

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
დინამო (თბ.)	18	15	2	1	49-7 42
დინამო (ბთ.)	18	11	5	2	34-11 38
ოდიში	18	11	2	5	27-25 35
კოლხეთი-1913	18	10	3	5	38-18 33
ტორპედო	18	9	6	3	31-16 33
უნივერსიტეტი	18	8	4	6	22-14 28
მერანი-91	18	8	5	5	24-19 24
ლოკომოტივი	18	6	5	7	19-25 23
ვიტ-ჯორჯია	18	5	7	6	17-15 22
დილა	18	6	2	10	16-26 20
სამგურალი	18	5	4	9	19-33 19
სიონი	18	6	5	7	27-22 18
რუსთავი	18	6	0	12	16-31 18
გურია	18	3	6	9	20-36 15
მალაროელი	18	3	2	13	14-41 11
მარჯვითი	18	1	4	13	13-46 7

შენიშვნა: დინამოს, მერანი-91-ს და სიონს დაკლებული აქვთ 5-5 ქულა

### გაქვიჩი ბაღანაშვილის სიკეთე

**ვიტ-ჯორჯია (თბილისი) - ტორპედო (ქუთაისი) 0-2**  
ვიტ-ჯორჯია: ჯანელიძე, ილურაძე, მაისურაძე, ჭოსონელიძე, ბურდული, დვალისხელი, ქუთათელაძე, ნადირაძე, ალავეცი, ჭუმბურიძე, გოჩაშვილი.  
ტორპედო: ასლანიძე, იონანიძე (მეტრეველი), ჩხაბერიძე, ვაშაძე, მაღალაქელი, შეყრიაძე, კ. კვეციანი, შ. ხუჯაძე, დ. ჯანაშია (გაბიბერაძე), მეგრელიძე, ნახაძე (ჩხეტიანი).  
გაფრთხილება: გოჩაშვილი, მეტრეველი.  
გოლები: მეგრელიძე (65), ხუჯაძე (79).  
მსაჯე: თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი).  
შეხვედრას გულშემატკივარი არ აკლდა განსაკუთრებით ეს, „ტორპედოს“ ფანთა მისამართით ითქმის.  
მასპინძლებს ამ შემადგენლობით და ამდგარი სუსტი თამაშით ათეულში მოხვედრაც გაუჭირდებოდა. მართალია, მათ მცირეოდენი ტერიტორიული უპირატესობა ეპყრათ, მაგრამ დამაგვირგნებელ

სტადიაში ბევრს სცოდავდნენ. ეულად მოფერებულთა თვალმხედვით ქუთათელაძეს ყოფილი მორჩილი ვაშაძე პერსონალურად მეტრეველს და ფეხბურთს მუქნა, როდესაც ორი მცველი ერთი მოძრაობით ჩამოიცილა და მცარისაგან მარჯვნივ კუთხეში დაარტყა, მაგრამ ასლიანად ადგილზე დახდა. პირველი ნახევრის მე-15 წუთზე ქუთათელაძეს ჰქონდა ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა: იგი საჯარიმოში ბურთიანად შეიჭრა და თითქმის გოლიც გარდაუვილი იყო, რომ წამით დააფრინა, რითაც მისმა მეტრეველმა ისარგებლა და განმუხტა სიტუაცია. პირველი ნახევარში სტუმრები მაინცდამაინც აგრესიული და გამოიყურებოდნენ და ძირითადად კონტრატეკვებზე აგებდნენ თამაშს.

მეორე ტიმი სრულიად საპირისპირო სტატუსით წარმოიჭრა. იმერულ კლუბში ტექნიკური გადამსწავლება მოხდა: მისმა „მოტორმა“ კვეციანმა მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა და სახიფათო მომენტების „ზღაჯ“ შექმნა კვეციანისთან ერთად აშკარად გამოსაყვია, შეცვლაზე შემოსული ვაშაძე, რომელმაც, შეიძლება ითქვას, გამოაცოცხლა თამაში და თვითონაც შეიძლო ბარე სამჯერ მოწინააღმდეგის კარის დაღაშეჭრა. პირველი გოლი მარცხენა ფლანგიდან გვიდა: დაულაღმა კვეციანმა მოატყუა მცველი და ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც უმეფელურად დარჩენილმა მეგრელიძემ თავური დარტყმით დააწინაურა თავისი გუნდი. გაშვებული გოლის შემდეგ „ვიტ-ჯორჯია“ თითქმის გამოცოცხლა, მაგრამ კარის ალბის რეალური მომენტი ვერ შექმნა. ქუთათელებმა კი კონტრატეკვებზე „დაიჭირეს“ მეტრეველს კომბინაციის შედეგად მეგრული პირისპირ ხუჯაძე აღმოჩნდა, რომელმაც ისარგებლა მასპინძელთა გოლიკების წინ გამოცვლით და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

გობა ლომიძე

### ZZ - რეპორაჟაჟი მეორე

ზინედინ ზედანი კარგა ხანია ვარსკვლავი - აღმოჩენა აღარ გახლავთ, მაგრამ მას შემდეგ, რაც კივეის რესპუბლიკურ სტადიონზე („დინამო“ - „იუვენტუსი“) ნამდვილი ზიდანშოუ ვიხილეთ ამ ფრანგი ტალანტის პოპულარობა და ავტორიტეტი ერთიორად გაიზარდა. ინტერვიუ კი, რომელიც „FIFA MAGAZINE“-ს უახლოეს ნომერში გამოქვეყნდა „დინამო“ - „იუვენტუსის“ მატჩამდე, ჩაწერილი, მაგრამ ალბათ მაინც არ იქნება ინტერესი მისთვის მკითხველისათვის.

### „2 X 45“-ზე, ანუ ორი საფეხურით გაიგი - ანუ ჰქვია ან სიანს

ბარათის წინა მხარეზე მოხაზულია ორი განსხვავებული ზომის რგოლი ციფრებით და ცენტრში მატჩის ანგარიშის ჩასანერი კვადრატით. უკანა მხარეზე მოცემულია კითხვები, რომლებიც განმარტავენ ბარათის წინა მხარეს აღნიშნული ციფრების შინაარსს. წინა მხარის შიდა რგოლში (1-6) ყოველთვის გადაიხაზება მხოლოდ ერთი ციფრი, მეორე რგოლში (7-12) - არაუმეტეს ორისა. მატჩის საბოლოო შედეგი აღინიშნება შიდა რგოლის ცენტრის კვადრატში. თუ თქვენ გამოცნობთ მატჩის საბოლოო ანგარიშს, ამასთან, ორივე რგოლში ზუსტად გადახაზავთ თითო ციფრს, მოიგებთ 25 ლარს, ხოლო თუ მატჩის საბოლოო ანგარიში, პირველ რგოლში შემოხაზული ერთი, ხოლო მეორე რგოლში ორი ციფრი გაგიმართლებთ, მიიღებთ - 50 ლარს. შევსებული ბარათი იჭრება ორ ნაწილად: ერთი ნაწილი უნდა ჩააბაროთ გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ (კოსტავას, 14) გაზეთების გამავრცელებელს, ან მოიტანოთ უშუალოდ „ლელოს“ რედაქციაში 28 მარტის 17 საათამდე. ბარათის მეორე ნაწილს თქვენ დაიტოვებთ და წარმოადგენთ მოგების შემთხვევაში.

შენიშვნა: ბარათის წინა და უკანა მხარეს უნდა შემოხაზოს ერთი და იგივე ციფრები.


„მერანი-91“ (თბ.) - „დინამო“ (თბ.) 29.III.98წ.	„მერანი-91“ (თბ.) - „დინამო“ (თბ.) 29.III.98წ.
---	---

გვარი, სახელი, მამის სახელი: \_\_\_\_\_

კადრები

საქართველოს სპორტის ატაშე

თამაზ მგალობლიშვილი დაიბადა 1941 წელს თბილისში დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი პროფესიით ეკონომისტი



1997 წლიდან საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელია რუსეთის ფედერაციაში.

ბატონო თამაზ, გამოდის რომ თქვენ ჩვენი სპორტის ატაშე ბრძანდებით რუსეთის ფედერაციაში, რამდენადაც ვიცით, სხვა ქვეყანაში ასეთი წარმომადგენელი არ გვყავს...

მოსკოვის პირველობაშიც გამოდის. ძირითად კონტინენტს აქაური ქართული სკოლების მოსწავლეები შეადგენენ.

უცხოეთის საელჩოებთან თუ გიწვეთ ურთიერთობა?

ძალიან ხშირად, თითქმის ყოველდღიურად. ჩვენს ქვეყანას უჭირს ეკონომიკურად. ამიტომ წინდაწინ არა ვინ იცის გამოჩნდება თუ არა, ამა თუ იმ ქვეყანაში სასაპარტოვო გასამგზავრებელი თანხები. ხშირად ფულით შოვნის საკითხი შეგიბრძნებამდე რამდენიმე დღით ადრე წყდება დადებითად, სწორედ მაშინ იწყება გაწამაწამა...

ბატონო თამაზ, რამდენადაც ვიცით, მოსკოვში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლობა ცაა გავტოვებთ თუ არა მასთან ურთიერთობა?

რა თქმა უნდა. სოკ-ის წარმომადგენელი ალბერტო კანტონა ჩინებულ სპორტსმენებს. კარგი ურთიერთობა გვაქვს ერმანეთთან, დიდად ავასებს ჩვენი ქვეყნის წვლილს საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში.

სხვა საელჩოებთან დავუბრუნდით, „საფეხბურთო ურთიერთობებიც“ კარგი გქონიათ უცხოელებთან...

თქვენ ალბათ მხედველობაში გაქვთ ჩვენი და უცხოეთის საელჩოების ამხანაგური შეხვედრები საფეხბურთო მინდორზე. სხვათა შორის, ეს „სიახლე“ მოსკოვში ჩვენ დავინერგეთ და ყველა კმაყოფილია — დიპლომატებმა უფრო ახლოს გაიციენ ერთმანეთი და თვალშიც შეგვხვდებიან ჩახვდებიან კოლეგებმა კოლეგებს. გეტყვით იმასაც, რომ ასეთი კონტაქტები ძალიან გვეხმარება განსაკუთრებით იმ ქვეყნების საელჩოებთან ურთიერთობაში, რომლებიც ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატში ჩვენს ჯგუფში მოხვდნენ. მით უფრო, რომ ახლა ისინიც არიან ჩვენი დანტერესებულნი.

ზემოთ თქვით, რომ თანამემამულეები გიღვანებდნენ, გვიჩვენებდნენ, დანარჩენები ვინ არიან?

დიდი სიამოვნებით მიხდა გუწყო „ლელოს“ მკითხველებს, რომ ილო ქვეიშვილი, გურამ გველსაური და ანზორ დარასელი აქ, მოსკოვში, ქართული სპორტისთვის დიდ საქმეს აკეთებენ — აწყოებენ ტურნირებს, ხელს უშობენ ქართველ სპორტსმენებს, მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ევროპის ოლიმპიურ ღვებში ჩვენი ბავშვების მონაწილეობაში, ახლა მზად არიან თანადგომისათვის, რათა ჩვენი სპორტული ღვებაცა წარმატებით გამოვიდეს მსოფლიო ახალგაზრდობის თამაშებში, რომელიც წლეულს გაიმართება მოსკოვში.

ოფიციალური სტრუქტურებიდან ვისგან მოდის მხარდაჭერა?

ჩვენს სპორტის დეპარტამენტთან და სოკ-თან ერთად საერთო საქმეს ვემსახურებით და, ბუნებრივია, ყურადღებას არ გვაკლებენ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები ბატონები კახი ასათიანი და ჯანო ბაგრატიონი. მუდმივად ვგრძნობთ აქაური ჩვენი საკონსულტოს, პირადად ბატონების კობა ნემსიფერძინსა და უმანგი მეზურნიშვილის თანადგომას პრობლემების გადაჭრაში. დიდად ვეძალდებით საქართველოს ელჩს რუსეთის ფედერაციაში ბატონ ვეა ლორთქიფანიძეს, რომელმაც საკონსულტოს შენობაში საოფისო ოთახი გამოგვიყო და ყურადღებას არ გვაკლებს.

თ. თომაშვილი, მოსკოვი

საქართველოს სპორტის ატაშე თამაზ მგალობლიშვილი

მოგესვენებთ, დამოუკიდებელ ქვეყანას თავისი ფუნქცია აქისრია და ჩემს საქმიანობასაც ვი განსაზღვრავს. ადრინდელთან შედარებით, ცხადია, ბევრი რამ შეიცვალა. უცვლელი დარჩა მხოლოდ ორგანიზაციული საკითხები, რომელიც საქართველოს სპორტული დელეგაციების მოსკოვში ჩამოსვლასთან, აქედან მათ გამგზავრებასა და შემდეგ უკან დაბრუნებასთანა დაკავშირებული.

რამდენიმე ახალ მთავარ ფუნქციას ხომ არ გავაყენებდით?

უმთავრესი მაინც რუსეთის სპორტულ ფედერაციებთან ორივე მხარისთვის სასარგებლო კავშირების დამყარება და შეთანხმებების პრაქტიკული რეალიზაციაა. ბევრს ვეუშვობთ თანამემამულე ბავშვებისათვის მოსკოვში სპორტული სექციების შესაქმნელად, რამაც მხარში, პირველ ყოვლისა, ისევ ქართველები გვიღვანან. მაგალითად, წარსულში ცნობილმა წყალბურთელმა გივი ჩიქანაიამ ხელი გავვიმართა და ცურვის სექცია გაუხსნია. მოსკოვში უკვე კარგად იცნობენ ქართველ ქაბუჯ მორაგბეთა გუნდს, რომელსაც ქუთაისის „აიას“ ყფილი მოთამაშე ავარკიშვიც. ეს გუნდი

საბარეჯოე კახეთი იხსნა, ქუთაისსა - იხარეთი!

თურამი ძიუდოეი საბარეჯოეც იხარეთი ახარტული შიქილავა იხოს, რომორც, ვითამბო, სპორტის სათამაშო სახეობაში, ოღონდ, გუნდი უნდა დადგას გუნდის წინააღმდეგ

ძიუდოეი ასეთი შეგებრება, ცხადია, ახალი არ არის, მაგრამ ჩვენში ოფიციალურ ტარდებოდა. არადა, თურმე ძალიან საჭირო და, რაც მთავარია, ახარტულია. ეს ხართლად დადასტურა ოლიმპიური რეზერვის სპორტულ სკოლაში (გლდანის ყოფილი სპორტული ინტერნატი) საქართველოს მხარეებსა და სპორტულ საზოგადოებას შორის გამართულმა საბარეჯოემა, რომელიც სხენებულმა სასწავლებლის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით შეიმუშავებული პროგრამით გაიმართა სასწავლებლის საქმიად დარბაზში.

ნელიცაა — თქვა ჩვენთან საუბარში სასწავლებლის დირექტორის მოადგილემ ალბერტ კუნციანიძემ. თერთმეტი ნატილი ჩაება საბარეჯოეში. აქედან ექვსი სამხარეო იყო (აჭარა, სამეგრელო, იმერეთი, ქვემო ქართლი, კახეთი, თბილისი), ოთხი სპორტული საზოგადოებისა (დინამო, „ლოკომოტივი“, „მართვი“, „შეგარდენი“), ცალკე გუნდი გამოიყვანეს მასპინძლებმა. სასინარულია, რომ აჭარამ პირველად მოავლინა სრული გუნდი. კახეთის მხარე კი მხოლოდ საგარეგოელების ხარჯზე გავიდნენ ფონს, იმერეთის მხარეც ერთი ქალაქის — ქუთაისის სპორტსმენებით იყო წარმოდგენილი. შიდა ქართლმა და მცხეთა-თიანეთმა საერთოდ არიდა თავი შეგებრებას. არადა, გორი, კასპი, ქარელი, დუშეთი, მცხეთა ტრადიციულად ჭიდაობის საიმედო კერებია. ეტუობა ამ რეგიონებში სამხარეო შეგებრებებიც არ ჩაუტარებიათ. სხვაგან კი სწორედ ასეთი შეგებრებები შეარჩიეს საუკეთესონი, რამაც განაპირობა კიდევ ის ინტერესი და ახარტი, რომელიც ქაბუჯ ძიუდოეისტა ამ თვევილიობაზე სუფვედა.



ქვემო ქართლის ჭაბუჯ ძიუდოისტთა ნაკრები და სპორტული ხელმძღვანელები

ნახამარზინალში გავიდნენ იმერეთის, ქვემო ქართლის, შეგარდენისა და ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის გუნდები. ნახევარფინალური და ფინალი შეხვედრები მაისის მეორე ნახევარში გაიმართება.

გოლი გოლი მოყვანა:

- 1. კუთხურს; 2. ჯარიმას; 3. უშუალოდ სათამაშო სიტუაცია; 4. პენალტს; 5. გავა ავტოგოლი; 6. გოლი არ გავა;

საუნახართო სიჭაუბიანი:

- 7. ბურთი მოხვდება კარის ძელს 3-ჯერ და მეტად; 8. ვერ გამოიყენებენ პენალტს; 9. შეცვლიან 3 დამატებით ფეხბურთელს; 10. წარდგენილი იქნება 2 და მეტი ყფიული ბარათი; 11. მინდვრიდან გაქევა; 12. შეცვლიან თუ არა ბურთის თამაშის დროს.



ფარიკაობა საქართველოს პირველობა

ქუთაისში ბრალინიანი პლანა ჩეალური მოსრანს...

თუ ყველაფერი ასეთი მონდომებით წარმართა, ქუთაისში სულ მალე აღდგება ოდინდელი საფარიკაო ტრადიციები. ეს იმედი ჩავვისახა საქართველოს პირველობაში, რომელიც ქართული ფარიკაობის ხეაღიწილად დღის მთავარი დასაყრდენი — 1982 წელს დაბადებული ჭაბუკები და გოგონები მონაწილეობდნენ.

პირდაპირ უნდა ითქვას: მას შემდეგ, რაც ქუთაისში სპორტული ლიცეუმი გაიხსნა (დირექტორი თამაზ ჭაბუკიანი), სპორტის მთელი რიგი სახეობების აღორძინება-განვითარების კარგი პერსპექტივა შეექმნა. ამჯერად ფარიკაობამ დაამტკიცა, რომ მუშაობა სწორი მიმართულებით მიდის, რაც უნარინანი სპეციალისტის და ორგანიზატორის თამაზ ოყროშიძის დიდი დახმავრებაა. ზემოხსენებულ პირველობაში ქუთაისელები, როგორც იტყვიან, აშკარად ბრწყინდნენ — ისინი არა მხოლოდ იმარჯვებდნენ და პრიზორები ხდებოდნენ, არამედ IV-VIII ადგილებსაც იკავებდნენ. თბილისელები ამ ფონზე ძალზე უსუსურად გამოიყურებოდნენ და ახლა, თამამად შეიძლება ითქვას, ქართული საფარიკაო ცენტრი და ადგილის დედა ქუთაისია, ლიცეუმიდან ერთად კი ამაში დიდია „მართვი“ და „შეგარდენი“ დამსახურება. გასახარია ბაღდადეგის მონდომებაც. აქაურ აეთანდოლ ხურციძეს VII ადგილი ხვდა რაპირაში, რაც ამ ახალგაზრდის პერსპექტივულობაზე მიგვანიშნებს. მისი მწვერული ნატო ტალახაძე კი, როგორც გვიტყვით, ახლო მომავალში სხვა ნიჭიერ სპორტსმენებსაც გააცნობს ქვეყანას.

პირველობაში თბილისელთა, ქუთაისელთა და ბაღდადეგთა გარდა აჭარის აფხაზეთის და რუსთავის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ასპარეზობის უმთავრესი ამოცანა იყო დაე სახეობებში საუკეთესონი, რომლებიც რამდენიმე თვეში, მოსკოვში ახალგაზრდობის მსოფლიოს თამაშებში იასპარეზებენ.

ქართველობაში: 1. აკაკი ჯიქია (ქუთაისი, „მართვი“); 2. ოფი დუბიოვი (აჭარა, „მართვი“); 3. თემურ გორდაძე (ქუთაისი, „მართვი“); გოგონები: 1. ნინო გოგიტიშვილი, 2. ნათია ჩინჩილაძე, 3. სურენა ზობიზაძე (სამივე — ქუთაისი, სპორტული ლიცეუმი, „შეგარდენი“). მამაკაცი: 1. ვეფხვაძე ჯიქია, 2. კორტე ლორთქიფანიძე (ორივე — ქუთაისი, „მართვი“); 3. ირაკლი ზამბახიძე (თბილისი, „მართვი“); ქალი: 1. ზაზა ხაჯიბეგოვი (აჭარა, „მართვი“); 2. გიგა ლომთაძე (ქუთაისი, სპ. ლიცეუმი); 3. მირიან მირიანაშვილი (ქუთაისი, „მართვი“); გოგონები: 1. ანა აბრამიშვილი (ქუთაისი, სპ. ლიცეუმი), 2. „შეგარდენი“; 2. ქეთინო რთიამაძე, სოფიკო მარგველაშვილი (ორივე — ქუთაისი, „მართვი“).

ც. ბაძრაძე

ზარი • „ლელო“ №16. 1998 წ. ბამოქანილი ქსანი და წეროვანი ნახევარფინალში


ამ სოფლების სკოლების მოსწავლეთა, პედაგოგთა და ხელმძღვანელთა სიხარული უსაზღვროა — მცხეთის რაიონის მოსწავლეთა სპორტულ თამაშებში ყველაზე დაძაბულ და საინტერესო პაექრობაში „მხარული სტარტები“ პროგრამით ასპარეზობაში ისინი ნახევარფინალში გავიდნენ. ამ გზაზე, ბოლო ორ შეხვედრაში წარუჩვენებმა (სკოლის დირექტორი გამბულ კუბატაძე, ფეხბურთის მასწავლებელი თემურ თეფური) ჯერ

მელონობა საქართველოს პირველობა

ჩეალური მოსრანითა ჩეალური მოსრანითა

ასპარეზობა გაიმართა ორ ასაკობრივ ჯგუფში (1983-85 და 1981-82 წწ.). მოწვევა დაეზანა ყველა ქალაქს და რაიონს, სადაც მძლეოსნობის ჯგუფები მუშაობს. დედაქალაქის პროფკავშირების მძლეოსნობის სასახლეში 24 გუნდი შეიკრიბა, რაც საბრკოლდ მჩვენებელია. სასახლეში არ ჩამოვდნენ სპინდისა და დუშეთის წარმომადგენლები როგორც ჩანს, აქ ჯგუფები ქალაქი შემორჩა მხოლოდ, ამიტომ დროულადაა მისაღები გადაბჭრული ზომები, რომ საკუთარი თავისა და სხვების მოტყუების მცდელობა აღიკვეთოს. პირველობამ გვიჩვენა, რომ ნიჭიერი თაობა მოდის, ადგილებზე გამოცეცხლა მუშაობა, გაიზარდა ინტერესი და მოთხოვნილება შევიბრძნებში მონაწილეობისადმი. სამწუხაროდ, უსახსრობა კვლავ და კვლავ დაუძლეველ დამარჯობად რჩება სპორტის ამ სახეობის განვითარების გზაზე. საქართველოს განათლების სამინისტრო ყველა ხარჯები გაიღო, გუნდებმა მხოლოდ თბილისში ჩამოსვლისა და უკან დაბრუნების ფული გამოთხოვეს განათლების ადგილობრივ განყოფილებებს. „განათლების სსტემა ყველაფერს აკეთებს ჩვენს ქვეყანაში მძლეოსნობის განსავითარებლად“ — თქვა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარემ თამაზ მდინარაძემ.

Table with 2 columns: Age group and Results. Includes data for 1983-85 and 1981-82 groups across various weight classes and events.



# პირველი ჯგუფი XVIII ტური

## როსა კახეაქლუაქა უნა გაპოიჩინს

ლოკომოტივი (თბილისი) - დინამო (ბათუმი) 0-1

ლოკომოტივი: ვოლკოვი, ცოტაძე (გორჯიკაშვილი), ერადე, ბარნოვი, არჩვაძე, ჭვარცხავა, კვეციანიძე, ყავლაშვილი (კოტორაშვილი), ხუციშვილი, გოდერძიშვილი, დოთაძე.

დინამო: ტოგონიძე, ი. მახარაძე (ფურტაძე), მინდაძე, სიჭინავა, შევილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ლლონტი (მაჭუტაძე), სოლოლაშვილი, კანტიძე (აფხაზავა), ზირაქიშვილი.

გოლი: მახარაძე, 58, პენ.

გაყვება: ზირაქიშვილი. მსაჯი: მერაბ მაღალურაძე (თბილისი).



წინა ტურში „ოდიშთან“ რკინიგზელთა სენსაციური გამარჯვების შემდეგ, ამ შეხვედრაში ყველა დაძაბულ თამაშს მოელოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

პირველი ნახევარი ძალიან უინტერესო სანახავი გამოდგა. ბათუმელებმა თავიდანვე მიაღწიეს გარკვეულ ტერიტორიულ უპირატესობას, თუმცა მათ ვერ შეძლეს შექმნათ აწკარა საგოლე მომენტები. ამ კომპონენტში არც მასპინძლებს გამოსდიოდათ რაიმე. აღსანიშნავია, რომ მთელი ტაიმის განმავლობაში მეტოქეებმა ვერ შეძლეს თუნდაც ერთი სახეთით დარტყმის განხორციელება.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, რომ მსაჯმა შეამართებინათ თავი გააძევა სტუმართა თავდასხმელი ზირაქიშვილი. ამის შემდეგ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კაცნაკლულმა დინამოელებმა უფრო მოუპოვეს თამაშის ტემპს და რამდენჯერმე მწვეველ შეუტეს ვოლკოვის კარს. ერთ-ერთი ასეთი შეტევისას საჭარბოში შეჭრილი მაჭუტაძე მცველებმა „მოცულეს“ და მსაჯებმაც სასებით სამართლიანად თვითმეტყველად ნიშნულსიყენ მიუთითა. საჭარბოში დარტყმა უნაკლოდ შეასრულა ივანე მახარაძემ - 0-1.

„ლოკომოტივმა“ დარჩენილ დროში მხოლოდ ერთხელ შეძლო სახეთათო შეტევა: მან წუთზე კვეციანიძეს ძლიერი საჭარბოში დარტყმა ტოგონიძემ უშეშებლად.

ირაკლი შინგაძე

## ბადრი კვარაცხელია: ფახბურთილამ ფულზე მხოლოდ კარიერის გოლოს უნდა იფიქროს

რომელ გუნდში არ უთამაშია 33 წლის თავდამსხმელ ბადრი კვარაცხელიას - „სქური“ (წალენჯიხა), „დინამო“ (თბილისი), „კახეთი“ (თელავი), „მეტალურგი“ (რუსთავი), შსს აკადემია (თბილისი), „მერანი-91“ (თბილისი) და ყველასდა გასაკვირად, შარშან მეზობელ აზერბაიჯანს მიაშურა. მისი მისვლა და განჯის „ქაიფაზის“ აღზევება ერთი იყო - გუნდი გათამაშების პირველ საფეხურს არ მოსცილებია. მაშინ, როდესაც მთელი მუსულმანური სამყარო ბაიარამობის დღესასწაულს ზეიმობდა, ბადრი „დინამოს“ დიდის ბაზაზე ყოფილი თანაგუნდელების სანახავად მოსულყო.



ბადრი კვარაცხელია

● რაო, ბადრი, ეტყობა აზერბაიჯანში საფეხბურთო სეზონი ჯერ არ განახლებულა.

- როგორ არა, თებერვლის დასაწყისში ქვეყნის ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყო. „ქაიფაზი“ დამაჯერებლად ლიდერობს, 4 ქულით ვუსწრებთ „შამქორს“, მესამე ადგილზე მყოფ ბაქოს „ნეფთჩის“ კი - 8 ქულით. თანის ნახევარფინალშიც გავვით. ასე რომ, ყველაფერი რიგზეა.

● არ ნანობ, ეტყობა განჯაში გადასვლით კმაყოფილი ხარ...

- იცით, რას ვეტყვით, პატარა ადარა ვარ. ადრე კარიერაზე ვფიქრობდი და ვცდილობდი თამაში რაც შეიძლება მაღალი კლასის გუნდში გამეგრძელებინა. ეკონომიკური ფაქტორი ჩემთვის მეორეხარისხოვანი იყო. მაგრამ, როდესაც ფეხბურთელის ასაკი კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება, ოჯახის მომავალზეც ხომ უნდა იფიქროს. რომდევე მეცხოვრა ნაქირავე ბინაში? კი, ოდა, როცა განჯელებმა შედარებით ნორმალური პირობები შემომთავაზეს, ბევრი არ მიფიქრია, მათ წინადადებას

იჯანგებზე მაღლა დგანან. თუ აქ, პირველ რიგში, ტექნიკა და იმპროვიზაცია ფასობს, იქაური გუნდები ფონს ხისტი, ჟინიანი თამაშით გადიან. კლუბების უმრავლესობა, მათ შორის ჩვენიც, ერთი თავდამსხმელი თამაშობენ. მცველები ძალიან უხეშობენ, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანელი არბიტრები მკაცრად სჯიან დისციპლინის დამრღვევთ. შედარებისათვის, თუ საქართველოს ჩემპიონატში მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფა ფეხბურთელს 1-2 თამაშით დისკვალიფიკაცია უჯდება, აზერბაიჯანში მას მინიმუმ 7-8 მატჩს გამოატოვებინებენ.

● ასეთ შემთხვევაში მსაჯის გაღატაკებისათვის, ალბათ, გუნდებს 5 ქულას კი არა, ათსაც დააკლებენ.

- რასა ბრძანებთ, თუ მოთამაშემ ან მკურნებელმა რაიმე დაავადა, გუნდი რატომ უნდა დაისაჯოს? არავითარი ქულების დაკლება, რამდენადაც გიცი, აზერბაიჯანში კი არა, სხვა ქვეყნებშიც ეს პრაქტიკაში მიღებული არ არის.

● მაყურებელი თუ ესრება მატჩებს?

- 10-12 ათასი გულშემატკივარი მაინც დანს ყოველ თამაშზე. ეს გასაკვირი არცაა, ვინაიდან აზერბაიჯანის მოსახლეობას ნაკლები ყოფითი პრობლემები აწუხებს. დარწმუნებული ვარ, როდესაც ჩვენთანაც „დალაგდება“ ცხოვრება, ხალხი სტადიონს მიუბრუნდება.

ესაუბრა ჯემალ ზიკაშვილი

სურათზე: ინტერტოტო-97. „მერანი-91“ - „ფლორიანა“ (მალტა) ბადრი კვარაცხელია (წინა პლანზე) მთლიან ბურთისთვის ბრძოლაში.

## მხოლოდ ბაქიური შედეგები

### სამგურალი (ყვალტუბო) - მერანი-91 (თბილისი) 0-0

სამგურალი: ბობოხიძე, გ. ჯანელიძე, გ. თევზაძე, კოლუშვილი (ვ. ჯანელიძე), ქელოძე, ძაგნიძე, ზ. ქუთათელაძე, ფხაკაძე, შველიძე, ხურცილავა (კ. ჯანაშია), დარსაძე (თევზორაძე). მერანი-91: გვენცაძე, ივანიშვილი, ე. ალდაშვილი, გოგიტაძე, გეწაძე, აბაშიძე, კახანაძე (ბუხრაიძე), ინიაშვილი, მესხი (ჩიგოშვილი), მახარაშვილი, დავითაშვილი (ბერაია).

გაფრთხილეს: გ. ჯანელიძე, ძაგნიძე, გეწაძე. მსაჯი: თამაზ ლაცაბიძე (სურამი)

### რუსთავი - დილა (ბორი) 1-0

რუსთავი: მ. ქორიძე, მენთეშაშვილი, ზ. გვაზავა, კულინოვი, არზიანი (მიქაძე), ჰიპარაშვილი (სახვაძე), ცომაია, ზირაქიძე, ჩუხუა, ყფიანი, კ. ალდაშვილი (ბოკერია).

დილა: გრ. ჭანტურია, ბალაშვილი, ჩიტაია, ლომიძე, თარხნიშვილი, წკრილაშვილი, მარგნაშვილი, ხოხობაშვილი, მარალიშვილი, ხორხუაშვილი, კილიარაშვილი (შატაქიშვილი). გოლი: ჩუხუა (82, პენ.).

გაფრთხილეს: თარხნიშვილი, ჭანტურია. მსაჯი: ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი)

### ბურია (ლანჩხუთი) - ოდიში (ზუგდიდი) 1-1

გურია: გაბუნია, ფაცურია (ზ. კვეციანი), კ. კვეციანი, კუჭულაძე, ბუკია, თიბილაშვილი, ქიჭავა, განგვი, ჩხეტიანი (ხოსროშვილი), ბერიძე, ბულუხია.

ოდიში: სოლოლაშვილი, აბულდანი, ლურსმანაშვილი, ცქიფურიშვილი, ტყეშელაძე (ჯაბუა), ებრაძე, ჩადუნელი, ენდუ-

ლაძე, გლუნჩაძე, ქოიავა, კალანაძე. გოლუბა 1-0 ფაცურია (19), 1-1 ებრაძე (37).

გაფრთხილეს: ფაცურია, ჩადუნელი, თიბილაშვილი. მსაჯი: ლევან ფანიშვილი (თბილისი)

### სიონი (ბოლნისი) - შინგარსიხატი (თბილისი) 1-0

სიონი: ლალაქიშვილი, გ. ჩომახიძე, შაკიაშვილი, ყფშიძე, კ. წიკლაური, მ. სამხარაძე, ტარტარაშვილი, ჯაფარიძე (მ. გოგოლაძე), ჯ. წიკლაური, (დ. ბერიძე), ტყაძე, ლ. გაგუა (ზ. ფოფხაძე).

უნივერსიტეტი: ბათიაშვილი, ყოლბაია, ვერემუჯი, კობიაშვილი, ხარებავა, შალაბერიძე, გ. გვაზავა (გ. ქორიძე), კვიციანი, რუსია, კ. მელქაძე, სვანიძე.

გოლი: შაკიაშვილი (7). გაფრთხილეს: მელქაძე, კ. წიკლაური, ლალაქიშვილი, ჯაფარიძე. მსაჯი: თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

### მარაგოელი (ჯიათურა) - კოლხეთი-1913 (ფოთი) 1-2

მარაგოელი: გველსიანი, კიპაროძე, ჩიკვილაძე, ტყეშაძე, მ. გაბრიძე, აბრამიშვილი, შეგიაშვილი, ბელიშვილი, ჯ. სამხარაძე, მელუა, მწყერაშვილი (პ. შეკლაძე).

კოლხეთი-1913: ქვაჩიანა, მიქაბერიძე (ქუტიძე), ტორჩინავა, გიორგაძე, გორიზია (დ. მახარაძე), ლანაიძე, ნოზაძე (ქუთელია), გიორგობიანი, ჩხენკელი, წიფიშაძე, მ. ქობულაძე.

გოლუბა: 1-0 მწყერაშვილი (16), 1-1 მიქაბერიძე (53), 1-2 ლანაიძე (86). გაფრთხილეს: ტყეშაძე, გაბრიძე, აბრამიშვილი, მიქაბერიძე. მსაჯი: ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).

## ჩემპიონთა ლიგა ნახევარფინალაბი (1-15 აპრილი)

### იუვენტუსი (იტალია) - მონაკო (საფრანგეთი) რეალი (ესპანეთი) - დორტმუნდი (გერმანია)

● ამ ეტაპზე გასული გუნდებიდან ყველაზე „ახალგაზრდა“ „მონაკო“ (დაარსდა 1924 წ.), შემდეგ მოდიან „დორტმუნდი“ (1909), „რეალი“ (1902), „იუვენტუსი“ (1897).

● ნახევარფინალისტებში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია დორტმუნდელი - კრისტიან ტიმი (დაიბადა 1979 წ.), რომელმაც ლიგის ამ გათამაშებაში 3 მატჩი ჩატარა და საერთო ჯამში მინდორზე 67 წუთი დაჰყო. მონაკოელმა ფილიპ კრისტანვალმა (1978) ითამაშა ერთხელ 35 წუთის განმავლობაში. იუვენტუსელმა მარკ იულიანომ (1978) მონაწილეობა მიიღო 7 მატჩში, მინდორზე 544 წუთი დაჰყო.

● ყველაზე „წინიერი“ რეალელი მიგელ ჰენდო (1961) - ითამაშა ერთხელ სრული მატჩი. იუვენტუსელმა მეკარე მიქელანჯელო რამაშულამაც (1962) ითამაშა ერთხელ 52 წუთი. დორტმუნდელმა მიჰაელ ცოკმა (1962) 6 მატჩი ჩატარა, მინდორზე 169 წუთი დაჰყო. ნახევარფინალისტებიდან ყველაზე მეტი, 24 ფეხბურთელი ათამაშეს დორტმუნდელმა, რეალელებმა 22 მთამაშე გამოიყენეს, მონაკოელებმა - 21, იუვენტუსელებმა - 20.

● რვავე მატჩში შეუცვლელად ითამაშეს ფრანგმა ფაბიენ ბარტუშმა, გერმანელმა შტეფან კლოსმა და ესპანელმა ფერნანდო იერომ.

● რვავე შეხვედრა, ოღონდ შეცვლილი, ჩატარეს: პერუცი, ბირინდელი, ზინინი (ყველა - იუვენტუსი), ფილიპინგერმა (დორტმუნდი), ბენარბიამ, კოლინზმა, იკებამ (ყველა - მონაკო),

ნახევარფინალისტებიდან ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა „რეალმა“ - 19 (შუკერი - 4, მორინტესი - 3, იერო - 3, რაული - 2, რობერტო კარლოსი - 2, კარაბე - 2, სანჩესი - 1, პანუსი - 1, ზე რობერტო - 1). „იუვენტუსმა“ 17 გოლი გაიტანა (დელ პიერო - 6, ინაგი - 6, ზიდანო - 2, ფონსეკა - 1, ბირინდელი - 12, ამორუზო - 1), „მონაკომ“ - 16 (ანრი - 6, იკება - 4, ტრევეგემ - 4, კოლინზმა - 1, პინიოლიმ - 1), „დორტმუნდმა“ - 15 (შაპოუზა - 4, მიოლიერი - 3, ჰერლინი - 2, ცორკი - 2, ვ. ბუტი - 1, მაინონი - 1, კიროვსკი - 1, ს. ბუტი - 1).

● საერთო ჯამში ნახევარფინალისტებიდან ლეგონერებმა გაიტანეს 25 გოლი (რეალელებმა - 10, დორტმუნდელებმა - 7, მონაკოელებმა - 5, იუვენტუსელებმა - 3).

● „რეალის“ მატჩებს დაესწრო 389 647 მაყურებელი (საშუალოდ 48705), „იუვენტუსის“ - 310 434 (38 804), „დორტმუნდის“ - 294 874 (36 859), „მონაკოს“ - 154 000 (19 250).

მომავალად მ. ჯალაღონიამ (აფხაზეთი, სოფ. ფშაქი)

## ნიშნაბა

შოთა არველაძე ეგებ ჩვეულებრივ ვერ გაიბრუნებინა „აიაქსისა“ და „სპარტაკის“ მოსკოვურ მატჩში, მაგრამ თანაგუნდელებზე უარესად როდი უთამაშია... აი, რას ნერს „კომსომოლსკაია პრავდა“: „...უშუალოდ შესვენების წინ საშა ფილიმონოვმა მკვდარი ბურთი აიღო. „აიაქსის“ თავდამსხმელს, ჩვენთვის ნაცნობ ქართველს შოთა არველაძეს, როგორც ჩანს, სიხსნი აუდულდა. იგი მივიარდა „სპარტაკის“ მეკარეს და კინალამ ფეხი ჩაარტყა; თუმცა დროზე მოეგო გონს და სანკას ხელი მოხვია... შემდეგ კიდევ ერთხელ მოუთათუნა ბეჭებზე ხელი მეტოქეს, როცა ამ უკანასკნელმა „ექვსინიდან“ დაიბრია ბურთი. ვერა-

ფერს იტყვი - შოთა არველაძე ღირსეულად აგებდა. ... მსაჯმა ვერც მოასწრო სასტვენში ბოლო ჩაბერვა, რომ მე უკვე ვანუგეშებდი ემოციურ ქართველს, რომელსაც პოლანდიაში როდი დავინწყებია რუსული ენა: ● შოთა, ნაწყენი ხარ? - განა სხვანაირად ხდება ხოლმე, როცა აგებ? ● ის რაღა იყო, საშა ფილიმონოვს ლამის რომ ნიხლი ჩააზიღე. - ეგ ხომ ხუმრობთ გვაკეთე; განა ყველაზე არ ნახა, რომ გაკარებაც არ მინდოდა? მე ოლეგ რომანენცვაც ვადავუხადე მადლობა იმ კეთილი სიტყვებისათვის, რომლებიც პრესაში მომიხსენია. საერთოდ კი, „სპარტაკი“ მართლა ყოჩაღი გამოდგა...


სამეგრელო (ჩხოროწყუ) - ივერია (საშური) 0-0 იბერია (სამტრედია) - მეშახტე (ტყებული) 3-0 კოდაკო (თბილისი) - ცხინვალი 0-0 იბერია (ქარელი) - ასკ (თბილისი) 2-4 ფაზისი (ფოთი) - სქური (წალენჯიხა) 4-0 თორი (ბორჯომი) - შსს აკადემია (თბილისი) 0-4 საპონგელა (თერჯოლა) - კოლხეთი (ხობი) 3-5 იმერეთი (ხონი) - მერცხალი (ოზურგეთი) 0-1

ბათამაშების ცხრილი	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ	18	16	2	0	63-12	50
იბერია (ს.)	18	13	3	2	43-15	42
ივერია	18	12	3	3	47-18	39
კოლხეთი	18	12	2	4	41-28	38
ცხინვალი	18	11	1	6	48-24	34
მერცხალი	18	10	1	7	33-29	31
სქური	18	9	1	8	30-40	28
თორი	18	8	3	7	36-31	27
აკადემია	18	10	4	4	49-20	29
ფაზისი	18	8	1	9	31-34	25
მეშახტე	18	6	2	10	30-30	20
სამეგრელო	18	4	3	11	21-45	15
კოდაკო	18	3	2	13	15-42	11
იმერეთი	18	2	1	15	21-70	7
საპონგელა	18	2	0	16	20-64	6
იბერია (ქ.)	18	3	1	14	21-49	5

## კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

გაიანოლი - ითამაშა: ვენკაპოპოსთა სახელობელი ვს დეიჩი კალათბურთის შენობაში დამთავრდა თუ არა გათამაშების ძირითადი ნაწილი, „ლელომ“ მკითხველს ურჩია იმთავითვე 15 მარტისათვის თადარიგი დაეჭირა პლეიოფის საინტერესო მატჩებზე დასასწრებად. და აი, მოვიდა ეს თარიღი, მაგრამ ასპარეზობის განახლებას საშუალო არ ჰქონდა: საქმე იმშია, რომ პლეი-ოფში გასულმა რვავე გუნდმა გარკვეული საშვებობა თანხა უნდა შეიტანოს, თანაც ძველი ვალი დაფაროს. როგორც იქნა, შე-

გროვდა ოთხი „ფულიანი“ გუნდი და დღეიდან, 25 მარტიდან ისინი ერთმანეთს შეერკებიან: თსუ - სდასუ და აზოტი - მაკაბი. საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში გვიტყვენ, რომ სხვა წევრები ერთმანეთს მაშინ ეთამაშებიან, როცა ფულს იშვინან...





# მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტი

## აკვენიონა მსოფლიოს ჩემპიონი ჩემპიონი კაპოლინი ნილსკით

ის დიდი სპორტული მეტოქეობა, რომელიც არგენტინელებსა და ბრაზილიელებს შორის წერ კიდევ ომამდე დაიწყო, მომდევნო ხანაშიც ოდნავ-დაც არ შენელებულა. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ არგენტინელითა და ბრაზილიელითა ტურნირებში თითქოს თანახმანი არიან ნებისმიერ ადგილზე, თუკი, ბრაზილიელები მათ შემდეგ იქნებიან. შეიძლება ეს მარტო რიტორიკად ჩაითვალოს, მაგრამ მეზობლებს შორის რომ მეტად გამაფრებელი ურთიერთობაა, ეს ფაქტია. ამასთან, თუ მსოფლიო ჩემპიონატებში უდავო უპირატესობა ბრაზილიელებს აქვთ (4 გამარჯვება, არგენტინელებს კი — 2), სამხრეთამერიკულ ტურნირებში უმეტესად არგენტინელები იმარჯვებენ.

არგენტინის ახლანდელ ნაკრებს უკვე აღარა ჰყავს ფენომენური მარადინა, მისი შემადგენლობა ჯერჯერობით სტაბილური არ არის, თუმცა მწვრთნელმა პასარელმა უკვე შეასრულა პროგრამა-მინიმუმი: გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა.

დანიელ ალბერტო პასარელა კარგად ცნობილი პიროვნებაა ფეხბურთის სამყაროში. დაიბადა 1953 წლის 25 მაისს ჩაჩაბუკოში. სუთი წლისა (!) იყო, როცა მშობლებმა ფეხბურთს აზიარეს. 1973 წლამდე ადგილობრივ კლუბში თამაშობდა, შემდეგ ერთი სეზონის მანძილზე — „სარმიენტო დე ხუნიონი“, თანდათან დაწინაურდა. და შესანიშნავი ლიბერო გახდა. 1974-82 წლებში ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტში“ გამოდიოდა, 1982-86 წლებში „ფორიერტინაში“, შემდეგ მილანის „ინტერში“. არგენტინის ნაკრებში 75 მატჩი გამართა და 12 გოლი გაიტანა. 1978 წელს, როცა არგენტინელები პირველად გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები, ბრწყინვალედ წარმართადა ნაკრების თამაშს. ამ გუნდის შემადგენლობაში იყო 1982 და 1986 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში, თუმცა უკანასკნელის მატჩებში მონაწილეობა არ მიუღია — უკვე ხანდაზმულად მიიჩნეოდა.

როცა მსოფლიოს მიმდინარე ჩემპიონატის წინ ფიფამ შეცვალა სამხრეთამერიკული შესარჩევი ჯგუფების ადრინდელი ღებულება და ყველა 9

ნაკრებს ერთად მოუყარა თავი, თითქოს არგენტინელებს საბრძოლო თხეულობა გასვლა არ უნდა გასჭირვებოდათ. სინამდვილეში კი ამ ამოცანის გადაჭრა არც ისე იოლი აღმოჩნდა. პასარელას გაუთვლელად ურთიერთობა წამყვანი მოთამაშეების ჯგუფთან, ნაკრებში ხან ვინ გამოდის და ხან — ვინ, შემდეგ კი დიდხანს არა ჩანდა.

პირველი მატჩი ბოლივიელებთან შინ არგენტინელებმა კი მოიგეს — 3-1 (ორტეგა — 2, ბატისტუტა), მაგრამ საინტერესო თამაში არ უჩვენებია. დიდი სკანდალი გამოიწვია წაგებამ — 0-2 სტუმრად ეკვადორელებთან, რის შემდეგ მწვრთნელს არგენტინელი პრესა აუშხედრდა. პასარელას ვერაფერ შედეგად ჩაუთვალეს ფრე — 0-0 სტუმრად პერუელებთან, ხოლო ფრე — 1-1 ბუენოს-აირესში პარაგვაელებთან პირდაპირ კრახად მიიჩნეს. გადავხედოთ მასპინძლების შემადგენლობას ამ მატჩში: ბურგოსი, რ. აილა, შამოტი, სანეტი (ალბორნოსი), კასერესი, ალმეიდა, ბასედასი (ვერონი), მორალესი, სჩელიტო (ლოპესი), ორტეგა, ბატისტუტა. მიომბილეველა აზრით, უფრო უღელ ითამაშა მასპინძლების დირიჟორმა არიელ ორტეგამ. ახალგაზრდა თავდასხმელები სჩელიტო და მისი შემცველი ლოპესი ჯეროვნად ვერ ამოუღწერნ მხარში ცენტრალურ

თავდასხმელ გაბრიელ ბატისტუტას, რომელმაც ეფექტური გოლი კი გაიტანა, მაგრამ გუნდს გამარჯვება ვერ მოუტანა. თვითონ ბატისტუტასთვის მატჩი მაინც საუბილო აღმოჩნდა — ეს გოლი „ფორიენტის“ თავდასხმელისთვის 35-ე იყო, არგენტინის ნაკრებში კი სარეკორდოც — ერთი ნაკლები კი თვით დიდ დიეგო მარადონას ეკუთვნის. ამ რეკორდს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა პასარელასთვის, რომელსაც არ უყვარს ბატისტუტა, თვლის, რომ იგი თავნებობს და მწვრთნელის დავალებს ისე არ ასრულებს, როგორც საჭიროა.

მომდევნო მატჩს სტუმრად სან-კრისტობალში ჯგუფის ავჯა აუტსაიდერ ვენესუელის ნაკრებთან თითქოს არ შეეძლო არგენტინელებისთვის რაიმე უსიამოვნება მოეტანა, მაგრამ პასარელამ „ყოველი შემთხვევისათვის“ მინც გადაახალისა და ცვა და მეკარეც შეცვალა. არც ამ დაცვამ გაამართლა — მას მიმე შეცდომები მოსდიოდა. ანგარიში 5-2 არ ასახავს იმ სიძველეს, რაც მატჩის მსვლელობის დროს სტუმრებს გადახდათ, მაგრამ ბოლოს ყველაფერი მაინც კეთილად დასრულდა. არგენტინელებთან გოლები გაიტანეს ორტეგამ, სორინმა, სიმონემ, მორალესმა და ალბორნოსმა. გოლელორმა ბატისტუტამ ამჯერად თავი ვერაფრით გამოიჩინა, რაც სულ მალე ძალიან ძვირად დაუჯდა.

მეექვსე შეხვედრა, ამჯერად ბუენოს-აირესში ჩილელებთან ფრე — 1-1 (ბატისტუტა) დასრულდა, ამასთან, კრიტიკა მწვრთნელის მისამართით იმატა. ამის საფუძველი მართლაც იყო — ძველი ფრე საკუთარ მინდორზე, კვლავ ახალი მეკარე, ახალი მცველები, უსისტემო თამაში. ურუბრელებთან მონტევიდეოში კიდევ ერთი ფრე — 0-0 აღინიშნა, ამასთან, მატჩში არ მონაწილეობდა ბატისტუტა, რაც მწვრთნელმა გრიპით ახსნა, იმაზე კი ვერაფერი თქვა, რატომ არ გამოუძახეს ნაკრებში ბალოსი, კანიჯასი, რედონდოსი, ბატისტუტას შემცველი ერნან კრესპო („პარა“) ვერაფერს გახდა, თუმცა მწვრთნელს მისი დიდი იმედი ჰქონდა და შემდეგშიც მტკიცე ადგილი მიუჩინა. ამ მატჩში არგენტინელთა კარს უკვე მეოთხე — ი. გონსალესი იცავდა. 4 მეკარე 7 მატჩში — თუნდაც ეს გარემოება ბატი-სტუტას დიდ მერყობასა და ექვემდებარებას მიუთითებდა. კრიზისი გრძელდებოდა, თუმცა არგენტინელები მაინც არ სტოვედნენ პირველ ოთხეულს. ამან იხსნა კიდევ პასარელა, თუმცა ბევრი ექსპერტი მის დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვდა. თითქმის ჩიხში მოქცე-

